ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება # , [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური *[პროცენტი ციფრებით]* %
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	*[პროცენტი ციფრებით]* % კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი საპროცენტო განაკვეთი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში
კრედიტის ფინანსური ხარჯები	
ყოველთვიური შენატანის ოდენობა:	[*მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა*]
ვადის ბოლოს შენატანი:	[*მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა*]
შენატანები შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.	
სიცოცხლის დაზღვევის ღირებულება (სადაზღვევო პრემიის ჯამური მოცულობა):	[*მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა*]
კრედიტის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	[*მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა*]
საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების საკომისიო:	[*მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა*]
ანგარიშიდან თანხის განაღდების საკომისიო:	*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა]*
საკრედიტო შუამავლის საკომისიო:	*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა ან პროცენტი]*
სხვა ხარჯები:	• ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიო: *[მიეთითოს ციფრები და ვალუტა ან პროცენტი]* ; • ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო:*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა ან პროცენტი]*
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:	*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა]*
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა]*
კრედიტის მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]*
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* , მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები.
კრედიტის თანხის ვადაზე ადრე (წინსწრებით) სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის პირგასამტეხლო (საკომისიო) (არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის თანხისა):	კლიენტის მიერ კრედიტის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს 0%-ს (მიუხედავად „ა“ ქვეპუნქტში დადგენილი საკომისიოს ოდენობებისა). *ან* ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მოქმედებისას, დარიცხვის პერიოდში წინსწრებით დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს: 2%-ს, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ დარჩენილია 12-24 თვემდე ვადა;

	0.5%-ს, თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა და 0%-ს 6 თვემდე ვადის დარჩენის შემთხვევაში. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მოქმედებისას, დარიცხვის პერიოდში წინსწრებით დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს: 0.5%-ს, თუ დარჩენილია 6 თვეზე მეტი ვადა და 0%-ს 6 თვემდე ვადის დარჩენის შემთხვევაში. ბ) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრულად ან ნაწილობრივ რეფინანსირების გზით წინსწრებით დაფარვისას (თუ რეფინანსირება ხდება გაცემული კრედიტის ვალუტით), ბანკი უფლებამოსილია კლიენტს, რომელიც წარმოადგენს 1) ფიზიკურ პირს ან 2) არაფიზიკურ პირს (გარდა ფინანსური ორგანიზაციისა), რომლის ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების ჯამური მოცულობა არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ის ოდენობით წინამდებარე ხელშეკრულების 3.7.1.1 პუნქტის გათვალისწინებით; ხოლო 0%-ის ოდენობით, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა. სხვა შემთხვევაში იმოქმედებს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობები.
კრედიტის საშეღავათო პერიოდში დაფარვის რიგითობა:	კრედიტზე საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ხარჯები, სადაზღვევო პრემია, პირგასამტეხლოები, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის თანხა.
ვადაგადაცილების დღიური პირგასამტეხლო:	ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ფიქსირებული 20 ლარი ყოველი ახალი ვადაგადაცილებისას და ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა) ყოველ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. *[ან უცხოური ვალუტაში კრედიტის გაცემის შემთხვევაში მიეთითოს]* ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა), ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური

	მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
კლიენტის ქმედებით განპირობებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გარემოებები:	კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვემოთმოცემული რომელიმე გარემოების დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 4 (ოთხი) პროცენტული პუნქტით. ეს გარემოებებია: • *[მიეთითოს კონკრეტული გარემოება]* ; • *[მიეთითოს კონკრეტული გარემოება]*
ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება:	*[თუ არ აქვს უარის თქმის უფლება, მიეთითოს]* კლიენტს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით. *[თუ აქვს უფლება, მიეთითოს]* კლიენტს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულების 3[1] მუხლის და მისი ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: - განპირობებულია ინდექსის განაკვეთის ცვლილებით *[ამოსაშლელია თუ საპროცენტო კრედიტი რომელიმე პერიოდში არ არის ინდექსზე მიბმული]* ; ან - ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან - არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში, წინამდებარე კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს %-ს.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა/ ----------/

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - **032 2 406 406**

ბანკი/_____/ კლიენტი/_____/

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება
(სამომხმარებლო სესხი)

, საქართველო, [წელი] **წლის** [რიცხვი, თვე]

1.	ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:	

1.1. **ბანკი:**

1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	**სს "ლიბერთი ბანკი"**
1.1.2.	იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.3.	საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4.	ელ-ფოსტა:	info@libertybank.ge
1.1.5.	ტელეფონი:	032 2 55 55 00
1.1.6.	წარმომადგენელი:	*[მიეთითოს წარმომადგენლის სახელი და გვარი ან ჩანაწერი -" ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი"]*

1.2. **კლიენტი:**

1.2.1.	სახელი და გვარი/სახელწოდება:	
1.2.2.	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3.	საკორესპონდენტო მისამართი:	
1.2.4.	ტელეფონი:	
1.2.5.	ელ-ფოსტა:	
1.2.6.	წარმომადგენელი (ხელმომწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი)	
1.2.7.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	
1.2.8.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია (და არა ვალდებული) **კლიენტის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2 **კრედიტის** ძირითადი პირობები შემდეგია:

2.2.1	**კრედიტის** მოცულობა და ვალუტა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
2.2.2	**კრედიტის მიზნობრიობა**:	*[მიეთითოს მიზნობრიობა]*
2.2.3	**კრედიტის** მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]*
2.2.4	**საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა:	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* , მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული **კლიენტის** ვალდებულებები.
2.2.5	**კრედიტის** ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც კლიენტმა შეიძლება ისარგებლოს **კრედიტით ხელშეკრულებაში** მოცემული პირობებით):	*[მიეთითოს კონკრეტული თარიღი]* თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
2.2.6	**საპროცენტო განაკვეთ**ის ტიპი:	ფიქსირებული
2.2.7	**კრედიტის** წლიური **საპროცენტო განაკვეთი**:	*[პროცენტი ციფრებით]%*
2.2.8	**კრედიტის თანხის** გაცემის წესი:	**კრედიტის** თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი გაიცემა **ბანკში** გახსნილ **კლიენტის** მიმდინარე **ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვის გზით.
2.2.9	**კრედიტის თანხის** და **საპროცენტო სარგებლის** დაფარვის წესი:	თანდართული **გრაფიკის** შესაბამისად. თანდართული **გრაფიკის** შესაბამისად. ამასთან, **გრაფიკში** მოცემული მონაცემები მოქმედი იქნება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესაბამისად.

ბანკი/_____/ **კლიენტი**/_____/

		კრედიტის ყოველი ტრანშის გაცემის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების, **კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივ დაფარვის ყოველი შემთხვევის დადგომისას ან/და ნებისმიერი ისეთი გარემოების დადგომისას რაც იწვევს მოქმედი **გრაფიკის** მონაცემების ცვლილებას, **ბანკი** შეადგენს განახლებულ **გრაფიკს ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად. **კლიენტისთვის** განახლებული **გრაფიკი** ხელმისაწვდომი იქნება **ბანკის** ფილიალებში /სერვისცენტრებში.
2.2.10	**კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]* მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესაბამისად.
2.2.11	***<u>საკომისიო:</u>***	
(i)	**კრედიტის** დამტკიცების/გაცემის **საკომისიო**:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
(ii)	სხვა სახის **საკომისიო(ები)**:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
(iii)	საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების **საკომისიო**:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
(iv)	ანგარიშიდან თანხის განაღდების საკომისიო:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
2.2.12	***<u>პირგასამტეხლო:</u>***	
(i)	**კრედიტის თანხის** ან/და **პროცენტის** გადახდის ვადაგადაცილების **პირგასამტეხლო**:	ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ფიქსირებული 20 ლარი ყოველი ახალი ვადაგადაცილებისას და ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა) ყოველ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. *[ან უცხოური ვალუტაში კრედიტის გაცემის შემთხვევაში მიეთითოს]* ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა), ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
(ii)	**კრედიტის თანხის** ვადაზე ადრე (წინსწრებით) სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის **პირგასამტეხლო** (საკომისიო) (არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი **პროცენტის** თანხისა):	კლიენტის მიერ კრედიტის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს 0%-ს (მიუხედავად „ა“ ქვეპუნქტში დადგენილი საკომისიოს ოდენობებისა). *ან* ა) **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის** მოქმედებისას, დარიცხვის პერიოდში წინსწრებით დაფარვის საკომისიო იანგარიშება **კრედიტის** დარჩენილი ძირითადი თანხიდან წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს: 2%-ს, თუ

		დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ დარჩენილია 12-24 თვემდე ვადა; 0.5%-ს, თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა და 0%-ს 6 თვემდე ვადის დარჩენის შემთხვევაში. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის** მოქმედებისას, დარიცხვის პერიოდში წინსწრებით დაფარვის საკომისიო იანგარიშება **კრედიტის** დარჩენილი ძირითადი თანხიდან წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს: 0.5%-ს, თუ დარჩენილია 6 თვეზე მეტი ვადა და 0%-ს 6 თვემდე ვადის დარჩენის შემთხვევაში. ბ) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრულად ან ნაწილობრივ რეფინანსირების გზით წინსწრებით დაფარვისას (თუ რეფინანსირება ხდება გაცემული **კრედიტის** ვალუტით), **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს**, რომელიც წარმოადგენს 1) ფიზიკურ პირს ან 2) არაფიზიკურ პირს (გარდა ფინანსური ორგანიზაციისა), რომლის **ბანკის** მიმართ არსებული ვალდებულებების ჯამური მოცულობა არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო **კრედიტის** ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ის ოდენობით წინამდებარე ხელშეკრულების 3.7.1.1 პუნქტის გათვალისწინებით; ხოლო 0%-ის ოდენობით, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა. სხვა შემთხვევაში იმოქმედებს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობები.
(iii)	სხვა სახის **პირგასამტეხლო(ები):**	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
2.2.13	სიცოცხლის დაზღვევის ღირებულება (**სადაზღვევო პრემიის** ჯამური მოცულობა):	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა ან პროცენტი]*
2.2.14	***<u>ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:</u>***	
(i)	ყოველთვიურად გადასახდელი თანხის (შენატანის) ოდენობა:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა]* შენატანები შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესაბამისად.
(ii)	ვადის ბოლოს შენატანი:	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა]* შენატანი შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესაბამისად.
(iii)	**საკრედიტო შუამავლის** საკომისიო	*[მიეთითოს თანხა ციფრობრივად და ვალუტა]*
(iv)	სხვა ხარჯები:	• ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიო: *[მიეთითოს ციფრები და ვალუტა ან პროცენტი]* ; • ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო:*[მიეთითოს ციფრები და ვალუტა ან პროცენტი]* ;
(v)	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	*[მიეთითოს ციფრობრივად და პროცენტი]*
(vi)	**ხელშეკრულების** 2.2.1. ქვეპუნქტში მითითებული **კრედიტის თანხიდან** ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა)
2.2.15	**საკრედიტო შუამავალი:**	წინამდებარე **ხელშეკრულება** არ არის დადებული **საკრედიტო შუამავლის** მეშვეობით;

ბანკი/_______________/ კლიენტი/_______________/

	ან წინამდებარე **ხელშეკრულება** დადებულია საკრედიტო შუამავლის, კერძოდ, *(დასახელება/ სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი; რეგისტრაციის მისამართი; საკონტაქტო ტელეფონის ნომერი; საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა)* მეშვეობით; **საკრედიტო შუამავალი** წარმოადგენს ან არ წარმოადგენს **ბანკთან** დაკავშირებულ პირს;
2.2.16 **სადაზღვევო კომპანიის დასახელება:**	იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულების** თანახმად **კლიენტი** აზღვევს **კრედიტის** დაუბრუნებლობის რისკს (იქნება ეს სიცოცხლის დაზღვევით თუ ნებისმიერი სხვა საფუძვლით), მაშინ დაზღვევასთნ დაკავშირებულ საკითხებზე **კლიენტმა** უნდა მიმართოს - *(სადაზღვევო კომპანიის დასახელება; საიდენტიფიკაციო ნომერი; მისამართი)*;
2.2.17 **უზრუნველყოფის ჩამონათვალი:**	**ბანკო კრედიტის ხელშეკრულების** დადების მომენტისთვის - საბლანკო, რაც არ გამორიცხავს, რომ შესაბამის მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაიდოს შესაბამისი **დაკავშირებული** გარიგებები (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები და სხვა).
2.2.18 ***დამატებითი პირობები:***	*[მიეთითოს დამატებითი პირობები და მათი შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული სანქციები]* კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვემოთმოცემული რომელიმე გარემოების დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 4 (ოთხი) პროცენტული პუნქტით. ეს გარემოებებია: • *[მიეთითოს კონკრეტული გარემოება]* ; • *[მიეთითოს კონკრეტული გარემოება]*
2.2.19 **ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება:**	*[თუ **არ აქვს** უარის თქმის უფლება, მიეთითოს]* **კლიენტს** არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით. *[თუ აქვს უფლება, მიეთითოს]* **კლიენტს** უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულების 3^{1} მუხლის და მისი ქვეპუნქტების შესაბამისად.

2.3 **კლიენტი** ადასტურებს, რომ წინამდებარე **კრედიტთან** დაკავშირებით **კლიენტი** დეტალურად გაეცნო **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მიწოდებული თითოეული სადაზღვევო კომპანიის დაზღვევის პირობებს, ასევე მიიღო ინფორმაცია **ბანკისგან** იმის შესახებ, რომ დაზღვევის ანალოგიური პირობებით შესაძლებლობა აქვს **კლიენტს** წარუდგინოს **ბანკს** სხვა მზღვეველის სადაზღვევო პოლისი.

ბანკი/_______________/ კლიენტი/_______________/

3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1 **კლიენტი** ვალდებულია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **სადაზღვევო პრემია** დაფაროს **კრედიტის თანხის** და **საპროცენტო სარგებლის** დაფარვის თარიღებში, წინამდებარე **ხელშეკრულების გრაფიკში** მოცემული პერიოდულობით და ოდენობით.

3.2 **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **სადაზღვევო პრემიის** გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა, **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლოა გახდეს **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** შეწყვეტის ან/და **კრედიტის** და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნის საფუძველი, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნა **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში.

3.3 *<u>დაფარვის პრიორიტეტი და რიგითობა</u>*. **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **სადაზღვევო პრემია, პირგასამტეხლო, საკომისიო** თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს **კრედიტის თანხა.** ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, გარდა ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3.4 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **კლიენტის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

3.5 **ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრითვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრითვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით **კლიენტი** არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განსაზღვროს **კლიენტის** ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.6 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასევე **კლიენტის** მიერ დაზღვევისათვის გადასახდელი **სადაზღვევო პრემიის** თანხები **ბანკმა** დააკავოს **კრედიტის** (**ოვერდრაფტის**) **თანხიდან** ან/და ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან,** მათ შორის სადეპოზიტო **ანგარიშიდან,** (თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები ან/და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **კლიენტის** მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე ოვერდრაფტის** დაშვების ხარჯზე.

3.7 <u>კრედიტის თანხის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვის დამატებით პირობები.</u> **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, **კრედიტის** სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/განთავსების შემთხვევაში არ მოხდება **კრედიტის** წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** ინიციატივით **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

ბანკი/________________/ კლიენტი/________________/

3.7.1 წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გამოთვლის მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია **ბანკისთვის** მისაღები ფორმით წარუდგინოს **ბანკს** ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან/და ირიბად იძლევა **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის წყაროს დადგენის შესაძლებლობას. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ბანკისთვის** წინსწრებით დაფარვის წყაროს იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მიწოდებული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე.

3.7.1.1 იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი კრედიტის** წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას არ განაცხადებს **კრედიტის** სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შესახებ ან განაცხადებს, თუმცა არ წარუდგენს **ბანკს** რეფინანსირების იდენტიფიცირებისთვის აუცილებელ ინფორმაციას/დოკუმენტაციას **ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს **კლიენტს** წინსწრებით დაფარვის საკომისიო 2.3.12 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში **კლიენტი** უფლებამოსილია დამატებით, **კრედიტის** წინსწრებით დაფარვიდან გონივრულ ვადაში, განაცხადოს, რომ წინსწრებით დაფარვა ფაქტობრივად განხორციელდა სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების გზით და წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია საკომისიოს შესაბამისი ოდენობით კორექტირების მიზნით. ამასთან, აღნიშნული ვადის განმავლობაში **კლიენტის** მიერ მოცემული ქმედებების განუხორციელებლობა აღარ წარმოშობს საკომისიოს კორექტირების უფლებას, თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

3.8 ***პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება.*** **ხელშეკრულების** შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე **ხელშეკრულების** ვადის გასვლის გამო) შემთხვევაში, **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად და **კლიენტი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ დარიცხული **პირგასამტეხლოს** და **საპროცენტო სარგებლის** თანხები.

3.9 თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე უზრუნველყოფის საგანი გადმოეცემა **ბანკს**, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციამდე **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მთლიან დავალიანების თანხაზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი წილით შემცირდება დავალიანება, ხოლო დანრჩენილ დავალიანებაზე, კვლავ გაგრძელდება/ შენარჩუნდება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

3.10 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფის საგნის **ბანკისთვის** გადაცემის (ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით) მიუხედავად, უზრუნველყოფის საგნის გასხვისებასა და ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე, გაგრძელდეს/ შენარჩუნდეს **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა დავალიანების სრულ ოდენობაზე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.11 ***მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა.*** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი **პირის** მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს **ბანკის** მხრიდან უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაზე** უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

3.12 გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

3.13 თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დასაფარად (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად კრედიტის ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების თანხების გადახდისთვის): (ა) **კლიენტი** დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე); (ბ) ბანკი უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს **კლიენტის** ნებისმიერ სხვა ქონებაზე. იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ყიდვის ფასი იქნება **ბანკის** მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით **ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ **ბანკის** მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფილ კრედიტორად.

3.14 თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის/გადახდევინების მიქცევის ეტაპისთვის ვერ ხდება უზრუნველყოფის საგნის მოძიება, მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა, ნებისმიერი ადმ. ორგანოს მიერ, ქონების საქართველოს საზღვრის კვეთა და ა.შ) **კლიენტი** აცხადებს თანხმობას ბანკის

ბანკი/________________/ კლიენტი/________________/

სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) **კლიენტისგან** შესაბამისი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან.

3.15 ***საკრედიტო საინფორმაციო ბიურო.*** **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - **ბიურო**) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.16 **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.17 ***ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ცალმხრივად შეწყვეტა.*** **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** ან/და მოთხოვოს **კლიენტს კრედიტის თანხის** (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან **დაკავშირებული გადასახდელების**, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა **კანონმდებლობით** ან/და **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.18 ***კრედიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები.*** **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ: (ა) თუ **კლიენტის** შემოსავლები **კრედიტის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა **კრედიტის** შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) **კლიენტს** შეიძლება გაეზარდოს **კრედიტზე** გადასახდელი თანხები თუ **კრედიტი** გაცემულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით; (გ) **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა (გ.ა) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ.გ) **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა. (გ.დ) მოითხოვოს **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი).

3.19 ***ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება.*** **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები. **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ **ხელშეკრულების** ცვლილება: (ა) განპირობებულია **ხელშეკრულებით** წინასწარ განსაზღვრული და **კლიენტის** ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, რაზედაც **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკი** თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (გ) არ იწვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

3.20 **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას მიაწოდოს **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეებს (მათ შორის **უზრუნველყოფის საშუალების** მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე **ხელშეკრულების** სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

3.21 ***დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება.*** **კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს **ხელშეკრულების** ნებისმიერ **კლიენტს** (თუ რამდენიმე **კლიენტია**), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) **ხელშეკრულება,** (ბ) **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) **გარემოებების** შესახებ ინფორმაცია, რაც **ბანკის** შეხედულებით შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველი, (გ) **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს **ბანკს** დაამუშაოს **კონფიდენციალური**

ბანკი/________________/ კლიენტი/________________/

ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია **სტანდარტული პირობებით.**

3.22 *<u>მონიტორინგი.</u>* **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, **ბანკმა** კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავლინოს **კლიენტის** საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე **ბანკის** თანამშრომელი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი **კრედიტის მიზნობრიობის** შემოწმების და მონიტორინგის, ასევე **კრედიტის** დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

<u>3¹ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება</u>. **კანონმდებლობის** შესაბამისად სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლება გათვალისწინებულია ხელშეკრულების თავსართით, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალში (მათ შორის სათაო შენობაში, მდებარე თბილისში, ჭავჭავაძის გამზ 74-ში), სერვის ცენტრში მისვლის გზით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, წერილობითი და ხელმოწერილი განცხადებით, უარი თქვას სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე გაფორმებიდან (ან მიღებიდან, თუ ხელშეკრულებას მომხმარებელი გაფორმების შემდეგ მიიღებს) 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს უარის თქმის მოთხოვნა, თუ იგი არ ხორციელდება **კანონმდებლობის**, **ხელშეკრულების**, **ბანკის** შიდა პოლიტიკა-პროცედურის შესაბამისად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ **კლიენტმა** მატერიალურად ხელმოწერილ განცხადებაში არ მიუთითა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: **კლიენტის** სახელი-გვარი/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, უარსაყოფი ხელშეკრულების: დასახელება, თარიღი, ნომერი. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობის პროცესში გასათვალისწინებული დამატებითი პირობები:

3¹.1. უარის თქმის უფლება არ ვრცელდება: ისეთ კრედიტზე, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და ფინანსური გირავნობით, ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით ან/და მოძრავი ქონებით (გარდა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა), მიუხედავად უზრუნველყოფაზე შეთანხმების თარიღისა, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის დაფიქსირების შემდგომ მოხდება შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენა ან/და გაფორმება, **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი ისარგებლოს უარის თქმის უფლებით.

3¹.2. იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულების** ფარგლებში გათვალისწინებულია **კრედიტის თანხის** ტრანშებად გაცემა, ყოველი ახალი ტრანშის გაცემა არ იწვევს უარის თქმის უფლების და ამ უფლების რეალიზებისთვის დადგენილი შესაბამისი ვადების განახლებას, შესაბამისად **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნული უფლებით სარგებლობის მიზნით უარი თქვას არა მხოლოდ ცალკეულ ტრანშზე, არამედ **ხელშეკრულებაზე** სრულად.

3¹.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კონკრეტულ კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმა ამავდროულად ავტომატურად არ გულისხმობს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაზე** (შეიძლება მოხსენიებულ იქნას ასევე როგორც - **გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება**) უარს. აქედან გამომდინარე, თუ კი იარსებებს რომელიმე **დაკავშირებული ხელშეკრულება** (მათ შორის შესაბამისი გირავნობის ხელშეკრულებები), რომელიც უზრუნველყოფს **გენერალურ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებას** ან/და არ უკავშირდება იმ კონკრეტულ გარიგებას, რომელზეც უარს აცხადებს **კლიენტი**, **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ი** დატოვოს ძალაში.

3¹.4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **ბანკისათვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით უარის თქმის შესახებ მიმართვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ხელშეკრულებით** განსაზღვრული და მასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და გადასახდელების **ბანკისთვის** სრულად გადახდა: სანოტარო ხარჯები და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაწესებული გადახდილი/გადასახდელი თანხები, **პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების (მათ შორის მიმდინარე შენატანის განხორციელების ვალდებულების) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის, **კრედიტის** ძირითადი თანხა, **კრედიტის** სარგებლობის პერიოდში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დარიცხული და გადაუხდელი **პროცენტი/ახალი ბარათის/მასწავლებლის ახალი ბარათის შემთხვევაში - ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო. კრედიტის** სარგებლობის პერიოდად ითვლება **კრედიტის** დამტკიცების დღიდან, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ყველა გადასახადისა და გადასახდელის **ბანკისთვის** სრულად გადახდის დღის ჩათვლით პერიოდი. **კლიენტი** ასევე ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** გადაცემული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გაუგებრობის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ უარის თქმის უფლებამდე გადახდილი თანხა **კლიენტს** უკან არ უბრუნდება; ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დარიცხული **პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ან/და სხვა ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლებით სარგებლობისთვის **ხელშეკრულებით** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სრულად და ჯეროვნად

შესრულებისა და **ხელშეკრულების** ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესების შესაბამისად გაუქმების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე არ ექნება მიმდინარე ფულადი ვალდებულებები (მათ შორის სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები), **კლიენტს** დაუბრუნდება **ბანკისთვის** გადახდილი მხოლოდ ისეთი სახის საკომისიო თანხები, რომლის **კლიენტის** მიერ გადახდის ვალდებულებაც **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების რეალიზების შედეგად აღარ იარსებებს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3[1].5. **კლიენტისთვის** აგრეთვე ცნობილია და ეთანხმება, რომ მიუხედავად **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის თაობაზე **ბანკისთვის** წერილობითი უარის დაფიქსირებისა, უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი ვალდებულებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **კლიენტი** ვალდებული რჩება დათქმულ დროში, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათავლისწინებული ვალდებულებები, მათ შორის **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად დროულად გადაიხადოს მიმდინარე შენატანი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მისთვის მინიჭებული უფლებებით, მათ შორის დაარიცხოს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირგასამტეხლო** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შეუსრულობელობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის დადგენილი სანქციის, **საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ასევე მიმდინარე შენატანის, ზიანის/ზარალის ან/და **ბანკისთვის** გადასახდელი სხვა თანხები ჩამოწეროს **კლიენტის** ანგარიშებიდან უაქცეპტოდ 30 დღიანი ვადის გასვლამდეც ნებისმიერ დროს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ბანკის** სასარგებლოდ უქცეპტო ჩამოწერის უფლების არსებობა არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს **კლიენტს** შესაბამისი გადასახდელებისა და გადასახადების **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადახდის ვალდებულების შესრულებისგან.

3[1].6. უარის თაობაზე პირველი შეტყობინების **ბანკისათვის** ფილიალში მისვლით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში, **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს სრულად დასაფარი თანხის **ბანკისთვის** გადახდა ერთჯერადი დაფარვისა და **ბანკისთვის** მიმართვის გზით. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის გადასახდელი თანხის სრულად დაფარვამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულებები მიიჩნიოს **კრედიტის** თანხის წინსწრებით დაფარვად და იმოქმედოს წინსწრების შემთხვევებისთვის **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** შიდა-პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. თუ **კლიენტმა** ასეთი წინსწრების შემთხვევებისთვის წინასწარ არ განუსაზღვრა **ბანკს** ახალი გრაფიკის **კანონმდებლობით** განსაზღვრული ალტერნატივები, **ბანკი** უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ახალი გრაფიკის ფორმირების თაობაზე. ამასთან, რევოლვირებადი პროდუქტებით (მათ შორის ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი) სარგებლობისას, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ხელშეკრულებაზე უარის დაფიქსირების შემდგომ 30 დღეში განახორციელებს ათვისებული თანხის მხოლოდ ნაწილის დაფარვას, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიჩნიოს აღნიშნული წინსწრებად/ლიმიტის შემცირებად. მიუხედავად აღნიშნულისა, **ბანკი** აგრეთვე უფლებამოსილია ნაწილობრივი შესრულებით მოახდინოს ლიმიტის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ განხორციელებული შენატანები საკმარისი აღმოჩნდება მიმდინარე შენატანის სრულად დასაფარად, **კლიენტი** დამატებით მიმართავს **ბანკს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით იმის თაობაზე, რომ მას სურს ლიმიტის შემცირება და არა **ხელშეკრულებაზე** უარის თქმა და მიმდინარე შენატანების დაფარვის შემდგომ დარჩენილი ფულადი სახსრები **კლიენტის საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის** ანგარიშზე **ბანკისთვის** ხელმისაწვდომი იქნება უარის თქმის უფლების თაობაზე პირველივე შეტყობინების განხორციელებიდან 30-ე დღის ამოწურვის შემდგომაც იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ლიმიტის შემცირების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. ასევე, **საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის** შემთხვევაში ათვისებული თანხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით შესრულებული გადახდები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მიმდინარე შენატანის დაფარვად თუ აღნიშნული გადახდები შესრულებული იქნება **ხელშეკრულებით** შენატანის გადახდისთვის დადგენილი წესის სრულად დაცვით.

3[1].7. **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ გაცემული/ათვისებული თანხის და შესაბამისი გადასახდელების სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში, არ მოხდება **ბანკის** წინაშე ვალდებულების ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** იცინიატივით **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის მიზნით ვალდებულების დაფარვა (მათ შორის, ნაწილობრივ გადახდის გზით) შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ასეთი შესრულების/დაფარვის დროს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3[1].8. თუ **კლიენტი** არ უზრუნველყოფს **ბანკისათვის** პირველი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კლიენტისთვის** ინფორმირების გარეშე: გააგრძელოს **ხელშეკრულება,** ასევე თანხის ნაწილობრივ ჩამოჭრის/დაფარვის შემთხვევაში, **ბანკის** გადაწყვეტილების შესაბამისად ასეთ თანხაზე იხელმძღვანელოს **კრედიტის** წინსწრებით დაფარვის პირობების შესაბამისად.

ბანკი/_____/ **კლიენტი**/_____/

3[1].9. იმ შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლების რეალიზების პროცესში, ნებისმიერ დროს წარმოიშობა **კლიენტის** სხვა სახის დავალიანება (მათ შორის ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი) გარდა უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის შესასრულებელი ფულადი ვალდებულებებისა, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ განხორციელებული შესრულებებით (ან/და **კლიენტის** ანგარიშზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოწერის გზით) პირველ რიგში დაფაროს ასეთი სხვა სახის დავალიანება, ხოლო შემდგომ უარის თქმის უფლების რეალიზების მიზნით **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები. **კლიენტთა** სიმრავლისას, ერთ-ერთი **კლიენტის** მიერ უარის თქმა წარმოშობს ანალოგიურ შედეგებს დანარჩენ **კლიენტთა** მიმართაც, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოზიციისა, თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება **ხელშეკრულებიდან** და **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული გადასახდელებისა და გადასახადებიდან, და არა კონკრეტული **კლიენტის** პროპორციიდან გამომდინარე, მათ შორის, **ხელშეკრულებიდან** ათვისებული თანხის, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დაფარვის ვადების, **პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** შესაბამისად.

3[1].10. **კლიენტის** მიერ უარის თქმის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ითვლება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უარის თქმასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.

3[1].11. **ხელშეკრულებაზე** უარის თქმით შეწყვეტით შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს ისეთი ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც დაიდო **ბანკთან** ან/და **მესამე პირთან ბანკისა** და **მესამე პირს** შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და უკავშირდება **ხელშეკრულებას**. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, ამგვარად დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს **კლიენტს** ან/და **მესამე პირს**. **ბანკი** უფლებამოსილია ინფორმირების მიზნით, ნებისმიერი ინფორმაცია ანდა დოკუმენტაცია გადასცეს **კლიენტს** ანდა **მესამე პირს.** გაუგებრობის გამოსარიცხად, ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის დაკავშირებულ ხელშეკრულებად არ განიხილება უზრუნველყოფის ხელშეკრულებები. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **მესამე პირსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერ და ყველა მოთხოვნაზე/პრეტენზიაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარე (**კლიენტი** ან/და **მესამე პირი**) და არცერთ შემთხვევაში **ბანკი**, შესაბამისად აქედან გამომდინარე **მესამე პირის**, **კლიენტის,** მარეგულირებელი ორგანოს ან/და სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნები/პრეტენზიები უნდა წარედგინოს **კლიენტს** ან/და ასეთ **მესამე პირს** კონექსტის შესაბამისად.

4 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

4.1 **მხარეთა** მიერ წინამდებარე **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებულად ითვლება და ძალაში შედის **ხელშეკრულება**, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება**; (გ) **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** სტანდარტული პირობები (შემდგომში - **სტანდარტული პირობები**), რომელიც წარმოადგენს **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დანართს** და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე https://libertybank.ge/ka/agreements/kreditis-khelshekrulebis-standartuli-pirobebi; და (დ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება **მხარეთა** შორის **კრედიტის** მოქმედების ფარგლებში

4.2 **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით **კლიენტი** ადასტურებს, რომ: (ა) ის (**კლიენტი**) სრულად გაცნობილია და ეთანხმება **ხელშეკრულების თავსართში**, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას და **სტანდარტულ პირობებს**, (ბ) **ხელშეკრულება** ითვლება დადებულად და (გ) მისთვის მისაღებია **კრედიტის თანხა, პროცენტი**, მოქმედების ვადა, **პირგასამტეხლოს, საკომისიოს** მოცულობები და სხვა პირობები.

4.3 თუ თავად **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება **სტანდარტული პირობების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, მათ შორის და არამარტო ტერმინთა განმარტებები, **კლიენტის განცხადებები და გარანტიები**, **კრედიტის თანხით** სარგებლობის, **მხარეთა** პასუხისმგელობის, **მხარეთა** კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** პირობებსა და **სტანდარტულ პირობების** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** პირობებს.

4.4 **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

4.5 წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულების** ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, **კლიენტისთვის**

სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე **კლიენტთან** კომუნიკაცია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

4.6 წინამდებარე **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში.

4.7 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. **მხარეები** თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.8 **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	ბანკი		კლიენტი
	------------------------------		------------------------------